შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.583)

18–25 მაისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ზეიმად გჭცეოდეთ სიცოცხლე!

ზეიმი ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლაში

ზეიმი ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლაში

გუშინ, 16 მაისს, იყო დაგეგმილი სკოლებში ბოლო ზარის ზეიმი, მაგრამ იმ ტრაგიკული შემთხვევის გამო, როცა ავღანეთში საქართველოს სამშვიდობო ჯარის ნაწილებზე თავდასხმისას სამი ქართველი ჯარისკაცი გარდაიცვალა, ეს დღე გლოვის დღედ გამოცხადდა. ჩვენც ვუერთდებით სრულიად საქართველოს ტკივილს, სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს და ახლობლებს და ვისურვებთ, ეს იყოს ბოლო მსხვერპლი, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში დაიღუპება. ამდენად, ბოლო ზარის ძეიმებმა 17 მაისს გადმოანაცვლა. ამ დღეს მუნიციპალიტეტის უმრავლესმა სკოლამ ბოლო ზარი დარეკა მეთორმეტეკლასელებისათვის. წელს 236 მოსწავლემ დაამთავრა მუნიციპალიტეტის 15 საჯარო და ერთი კერძო სკოლის სრული კურსი. მათ შორის არის ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 22 კურსდამთავრებულიც, რომელთაგან ერთი - ლიკა ტოკლიკიშვილი ოქროს მედლის კანდიდატია, ხოლო მარი შანშიაშვილი, თამაზ და ანი ყოჩიაშვილები ვერცხლის მედლისათვის იბრძოლებენ. ბოლო ზარი კი მათთვის დაუვიწყარი ზეიმი იყო, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრებათ. ორიგინალურად გაფორმებულ დარბაზში ცოცხალსა თუ მათივე ხელით შექმნილ გვირილებს „მიაქვს ყველაფერი“. „მოგენატრებით“ წრია კედელზე და ეს ორმხრივი გრძნობის გამოხატულებაა. თეთრ წინსაფრებსა და პერანგებზე „მნიშვნელოვანი“ წარწერები და ნახატებია. სევდანარევი სიხარული ციმციმებს მათ თვალებში.

კურსდამთავრებულებს ესალმება და კეთილ მომავალს უსურვებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი: - „დღეიდან სულ სხვა ცხოვრება იწყება თქვენთვის. დამთავრდა სკოლის ეტაპი, წინ სტუდენტობაა, რომელიც გაცილებით საინტერესო, სახალისო და შემოქმედებითია. კეთილზნეობით იცხოვრეთ, მომავალი თქვენია, თქვენ ჩვენზე უკეთ უნდა ააშენოთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი რაიონი. გილოცავთ სკოლის დამთავრებას, თქვენს პედაგოგებს კი ვუსურვებ კვლავაც მრავალი ბედნიერი თაობა გამოეზარდოთ!“ გამგებელი დამსწრეთ იმ პროექტების შესახებაც ესაუბრა, რომელიც მიმდინარე წელს არის დაგეგმილი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

დღეს ჩვენთვის ცხოვრების ის მნიშვნელოვანი ეტაპი დგას, როცა დარიგება და რჩევა გვჭირდება, - თქვეს მოსწავლეებმა და მამა პეტრეს სთხოვეს დალოცვა.

- რაც დღეს აქ ხდება, ყველა თავისებურად განიცდის – მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები ხანგრძლივი შრომის ნაყოფს იმკით. როცა ღმერთმა ადამიანს ჩააბარა ქვეყანა, უთხრა: უპატრონეო. პირველ ადამიანს თავადვე გაუკვალა გზა და მისცა ცოდნა ცხოვრებისა. თქვენც როგორ უპატრონებთ ქვეყანას ცოდნის გარეშე? ამიტომ იბეჯითეთ და ისწავლეთ კარგად. შეიძლება დღეს ყველაფერი ისე არ არის განათლების სისტემაში, როგორც უნდა იყოს, მაგრამ მალე დალაგდება ეს ქვეყანა. ერთიც გახსოვდეთ, სიყვარულის გარეშე

(გაგრძელება გვ.5)

შეჩერებული საარსებო შემწეობა 550 ოჯახიდან 302-ს აღუდგა

რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურების სააგენტოს „სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის“ ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ მოქალაქეთა ნაწილს დახმარება მოეხსნა. როგორც დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოში აღნიშნავდნენ, იმხანად საარსებო შემწერობა 58 ოჯახს შეუწყდა, ხოლო 550 ოჯახს შეუჩერდა.

ოჯახები, რომელთაც დახმარება შეუწყდათ, ხელახლა გადამოწმდა. ახალი შედეგები უკვე ცნობილია.

როგორც დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ ზურაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა 550 შეჩერებული ოჯახიდან დახმარება 302-ს აღუდგა, კიდევ 70 ოჯახის მონაცემები ამჟამად დათვლის პროცესშია.

მისი მტკიცებით, ხელახლა გადამოწმების შედეგად მაღალი ქულები შეჩერებულ ბენეფიციარებს შორის 38 ოჯახს დაუფიქსირდა, რომელთაც დახმარება აღარ აღუდგებათ.

ზურაშვილი განმარტავს, რომ სოციალური დახმარება ვერა, თუმცა ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი დედოფლისწყაროში დამატებით 62-მა ოჯახმა მიიღო.

„დიდი სხვაობა არ არის, იმ ვითარებას შორის, ვიდრე ხელახლა გადამოწმება დაიწყებოდა. მონაცემები პერიოდულად ცვალებადია, თუმცა ამ დროისთვის სხვაობა 200 ოჯახია, რომელთაც, შესაძლოა, 70 ოჯახის მონაცემებიც დაემატოს. ეს ის ოჯახებია, რომელთა ქულების დათვლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ასე რომ, უნდა ითქვას, მონაცემები რადიკალურად არ შეცვლილა. რაც შეეხება საარსებო შემწეობის გაორმაგების საკითხს, ამის შესახებ ინფორმაცია ჩვენც მედიასაშუალებებიდან გვაქვს და სხვადასხვა პოლიტიკოსების განცხადებები მოგვისმენია. დახმარების ზრდის თაობაზე რაიმე ოფიციალური ბრძანება ჯერ არ მიგვიღია. ვიცით, რომ უნდა გაიზარდოს, მაგრამ კონკრეტული დეტალები და დრო ჩვენთვის ამ ეტაპზე უცნობია,“-განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ ზურაშვილმა.

მისი ინფორმაციით ამ ეტაპზე დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფთა ერთიან სახელმწიფო ბაზაში მყოფი 1 790 დახმარების მიმღები ოჯახია რეგისტრირებული. იმ 70 ოჯახის შედეგები, რომელთა სარეიტინგო ქულების დათვლა ახლა მიმდინარეობს, 1 თვის ვადაში გახდება ცნობილი.

ილია მარტყოფლიშვილი

„სიიდან პოლიტკური ნიშნით ამომიღეს...“

გვ. 5

გამოუცხადებელი ორი შთამომავლობის წინააღმდეგ

გვ. 4

რესურსცენტრის უფროსის კონკურსი მიხეილ ბახუტაშვილმა მოიგო

გვ. 2

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

„ხუდონჰესთან“ დაკავშირებულ ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა

საქართველოს მთავრობის სხდომაზე “ხუდონჰესთან” დაკავშირებულ ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა.

ამის შესახებ სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ განუცხადა.

მისი თქმით, საუბარია საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე, რომელიც საქართველოს მთავრობას, შპს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს, შპს „ენერგოტრანსს“, “ტრანსელექტრიკა ლიმიტედსა” და “ტრანსელექტრიკა ჯორჯია ლტდ”-ს შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას შეეხება.

“ცვლილები გარკვეულწილად ტარიფს შეეხებოდა - ქვეყნისათვის უფრო მომგებიან პოზიციაში ჩაყენებას, თუმცა საერთოდ მემორანდუმის და ასეთი ხელშეკრულებების ნაკლი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ ქვეყანას გარკვეულ ვალდებულებებს ანიჭებს. რაღაც ჩარჩოებში აქცევს იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ამ პროექტის განხორციელება”, - განაცხადა ხათუნა გოგალაძემ.

მისივე თქმით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი მსგავს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ჯერ ყველაფრის შესწავლა, გაანალიზება მოხდეს და ამის შემდეგ დაიდოს ხელშეკრულება ან მემორანდუმი.

“ჩვენი პოზიციით, ყველანაირი შესწავლა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ სწორი გადაწყვეტილება იყოს მიღებული”, - განაცხადა ხათუნა გოგალაძემ.

რაც შეეხება კითხვას, რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას სოფელ ხაიშის მოსახლეობის პროტესტთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ მისთვისაც და მთავრობის ნებისმიერი წევრისათვის მოსახლეობის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია.

“ჩემთვისაც და, დარწმუნებული ვარ, მთავრობის ნებისმიერი წევრისათვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აზრს, განსაკუთრებით, ხაიშის მოსახლეობისას, რომლებიც პროექტის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ყველაზე მეტად დაზარალებულ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნონ “, - აღნიშნა ხათუნა გოგალაძემ.

ტორბიორნ იაგლანდი - საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობები გაუმჯობესდა

“ჩვენი ურთიერთობები საქართველოსთან გაუმჯობესდა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ”, - განაცხადა მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრისას ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიორნ იაგლანდმა.

“მე უკვე არაერთი შეხვედრა მქონდა საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სტრასბურგში განხორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ძალიან წარმატებული ვიზიტი. მე ასევე შევხვდი საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმები გამაცნო. დღეს კი, შეხვედრა გავმართე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან. ეს იყო ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა”, - აღნიშნა მან.

შეხვედრაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ისაუბრეს საქართველოსა და ევროსაბჭოს შორის ბოლო დროს განვითარებულ კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე.

“შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ მივიღებთ ევროპის საბჭოსგან სამოქმედო გეგმას, რომელიც იქნება სამ წელიწადზე და რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს განახორციელოს ერთობლივი პროექტები რამდენიმე მიმართულებით. ეს მიმართულებებია ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კანონის უზენაესობა და აგრეთვე კონფლიქტის მოგვარების საკითხშიც იქნება ერთობლივი პროექტები. საქართველოს პარლამენტში უკვე გადაგზავნილია რატიფიცირებისთვის ევროპის საბჭოს ოფისის საკითხი, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო პრობლემა. ყოველივე ეს არის მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენი თანამშრომლობა არის ძალიან კონსტრუქციული და დარწმუნებული ვარ, რომ ეს თანამშრომლობა ძალიან ბევრ დადებითს მოუტანს ჩვენს ქვეყანას” - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

სტრასბურგში ხელი მოეწერა აგრეთვე ევროპის საბჭოს კონვენციის დამატებით ოქმს “პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ”.

ლგბტ-ს აქცია სექსუალური უმცირესობების გარეშე

17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღე აღინიშნება. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით სექსუალური უმცირესობების აქციის ჩატარება თბილისში იგეგმებოდა, თუმცა სასულიერო პირებისა და მრევლის ნაწილის საპროტესტო აქციის გამო, რომელიც რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა, ჩაიშალა.ამ პროცესებს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. საზოგადოების ნაწილი, რომელიც ჩვენს ტრადიციებსა და რელიგიაზე ამახვილებდა ყურადღებას, ამბობდა, რომ სექსუალური უმცირესობების აქციის ამ ფორმით ჩაშლა დადებითი მოვლენა იყო, თუმცა, მათ შორისაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც აღიარებდნენ, რომ ძალადობრივი გზით ნებისმიერი, თუნდაც შენთვის ფუნდამენტურად მიუღებელი ფაქტის დაგმობა დაუშვებელია. მეც ასე ვფიქრობ. კი ბატონო, მიუღებელი და დამამცირებელია ქართველი კაცისთვის „გეების აღლუმი“, მაგრამ ხომ შეიძლება, მას მხოლოდ ცივილური ფორმით დაუპირისპირდე და არ მისცე თუნდაც პოლიტიკურად ანგაჟირებულ პირებს საშუალება, გაგაკრიტიკონ და მსოფლიოს თვალში არაცივილურ ერად წარმოგაჩინონ. განა ჩვენი, მართლმადიდებლური რელიგია ძალადობის წამახალისებელია? მაშ, გავიხსენოთ იესო ქრისტეს სიტყვები: „პირველმა იმან ესროლოს ქვა, ვინც უცოდველია“-ო, რომ თქვა. ხო, მართლა, ქვებზე გამახსენდა - მაინც, საინტერესოა, საიდან მოხვდა რუსთაველის გამზირზე ამდენი ქვა? ხალხს უკვე გაუჩნდა იმის განცდა, რომ ვიღაცებს პროვოკაციის მოწყობა წინასწარ ჰქონდათ გათვლილი და ამისთვის მომზადებულები მივიდნენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, არცთუ სახარბიელოდ დასრულდა ეს აქცია და გეების მაგივრად დაზარალდნენ ჟურნალისტები და ადამიანები, რომლებსაც სექსუალურ უმცირესობასთან საერთო არაფერი აქვთ, შესაძლოა ზოგიერთი, უბრალოდ, მათ უფლებებს იცავდა. პოლიტიკოსებმა უკვე შეაფასეს მოვლენა და იმის მიხედვით, ვინ რომელი პოლიტიკური კუთვნილებისაა, დასკვნებიც სხვადასხვაგვარი დაიდო.

დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დღევანდელი აქცია იმ ხალხის ორგანიზებული იყო, ვისაც საქართველოში უცხოური ფასეულობების დამკვიდრება სურს.

როგორც დღეს ბურჯანაძემ განაცხადა, დღევანდელი აქცია ორგანიზებული იყო არა სექსუალური უმცირესობების მიერ, არამედ გიგა ბოკერიას და მიხეილ სააკაშვილის მიერ, რომლებიც ამ ფასეულობების პროპაგანდას მუდმივად ეწეოდნენ.

„გიგა ბოკერიამ ერთხელ პირდაპირ მითხრა, ქალბატონო ნინო, მოგიწევთ შეეგუოთ გეიაღლუმს. რუსთაველზე განვითარებული მოვლენებით, მხოლოდ და მხოლოდ, ნაციონალური მოძრაობა მოითბობს ხელს. მათ აწყობდათ მოვლენები ამ სცენარით განვითარებულიყო“,— განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მისგან აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა გიგა ბოკერიამ, რომელმაც ყველაფერში ქვეყნის ხელისუფლება დაადანაშაულა.

“დღეს არის სამარცხვინო და საგანგაშო დღე მთელი საქართველოსთვის, სიძულვილით აღსავსე მოძალადეები სასტიკად არბევდნენ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი მოსაზრების დაფიქსირება სურდათ. ისინი არიან საქართველოს მტრები, დამნაშავეები და ისინი უნდა იქნენ დასჯილი”, - განაცხადა ბოკერიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის ზვიად ძიძიგურის განცხადებით კი, დღევანდელ აქციაზე ხელისუფლებამ და პოლიციამ გააკეთა მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეეძლო.

ძიძიგური მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ პოლიციას მადლობა უნდა გადაუხადოს, რადგან აქციაზე სერიოზული ექსცესები არ მომხდარა.

“რაც შეეხება დაპირისპირებას, ეს მანამდეც არსებობდა და ამას ჩვენ ყველანი მანამდეც ვხედავდით” —განაცხადა დეპუტატმა.

სექსუალური უმცირესობების აქციამ მათი წარმომადგენლების გარეშე ჩაიარა. ისინი პოლიციამ საფრთხეს გაარიდა, დაზარალებულები კი არასექსუალური უმცირესობები აღმოჩნდნენ. რუსეთის ხელმძღვანელობამ „გეებს“ აქციის ჩატარება უფლება არ მისცა, მიზეზად ბოლო ზარი დაასახელა. 17 მაისს საქართველოს საჯარო სკოლებშიც დაირეკა ბოლო ზარი, თუმცა, ეს არავის გახსენებია.

ინგა შიოლაშვილი

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის კონკურსი მიხეილ ბახუტაშვილმა მოიგო

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსის პირველ ეტაპზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ორმა პირმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ერთმა ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიხეილ ბახუტაშვილმა და თამარ ქართველიშვილმა მიიღო.

როგორც ცნობილია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გადასალახ ბარიერად 60 ქულა დაადგინა.

დედოფლისწყაროს საგანამანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე ბარიერის გადალახვა მხოლოდ ერთმა — მიხეილ ბახუტაშვილმა შეძლო და წინასწარი ინფორმაციით, 66 ქულა დააგროვა.

თუმცა, როგორც მიხეილ ბახუტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, ერთ-ერთი საკითხის გასაჩივრების შემდეგ ყველა კონკურსანტს 4 ქულა დაემატა.

„კონკურსი დასრულდა, ერთერთმა კონკურსანტმა აპელაცია შეიტანა და გაასაჩივრა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ შეკითხვა არასწორად იყო ფორმულირებული, ამდენად, ყველა მონაწილეს 4-4 ქულა დაუმატეს. ასე რომ, ინტერნეტით წინასწარ გამოქვეყნებულ ჩემს 66 ქულას კიდევ 4 ქულა დაემატა და ჩემი შედეგები 70,5 ქულით განისაზღვრა.

გასაუბრებამ ჩაიარა ბრწყინვალედ და ამჯერად რაიონის ისტორიაში გადამწყვეტი ეტაპია, რადგან რესურსცენტრს აღარ ეყოლება უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და ხელმძღვანელი დაინიშნება. დიდი კონკურენცია რომ ყოფილიყო, ალბათ, უკეთესად მოვემზადებოდი და უფრო მეტ შედეგს ვაჩვენებდი. სამინისტროში დიდი რეორგანიზაცია და რესურსცენტრების სტრუქტურული ცვლილებები იგეგმება და დეტალები მოგვიანებით გაირკვევა. აქ კი საკუთარი ძალების და შესაძლებლობების რეალიზების დიდმა სურვილმა მომიყვანა. ის გამოცდილება, რაც გასული წლების განმავლობაში მე დამიგროვდა, მინდა, რომ ჩემი რაიონის კეთილდღეობას მოვახმარო. ძალიან რთული მემკვიდრეობა დამხვდა. საშინელი ვითარება იყო ჩვენთან. ფაქტობრივად, არაფერი არ დამხვედრია, ყველაფერი მოშლილი იყო. არ არსებობდა ინტერნეტი, არ არსებობდა არანაირი კავშირი სამინისტროსთან. პარადოქსია, მაგრამ ჩვენს თანამშრომლებს ახლომახლო სკოლებში უწევდათ ინტერნეტის გამოყენებისთვის სიარული. ფაქტობრივად, ყველაფერი ხელახლა დასალაგებელი აღმოჩნდა. დოკუმენტაცია და სხვა დეტალები დიდი შრომის შემდეგ გამოვასწორეთ და ყველაფერი დალაგებულია და მუშაობას მალე შევუდგებით, ჩემი დანიშვნის თაობაზე ბრძანება უახლოეს დღეებში ჩამოვა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მიხეილ ბახუტაშვილმა.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან ჯამალაშვილმა თანამდებობა დატოვა, მის მოვალეობას მიმდინარე წლის 3 იანვრიდან ამჟამად კონკურსში გამარჯვებული მიხეილ ბახუტაშვილი ასრულებდა.

ის აქტიურ მუშაობას გეგმავს და ირწმუნება, რომ მათი საქმიანობის შესახებ მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობა ექნება.

ილია მარტყოფლიშვილი

რაიონის გამგეობაში

13 მაისს მორიგი ორშაბათის თათბირი გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში. სხდომას მუნიციპალიტეტის გემგებელი ირაკლი შიოლაშვილი უძღვებოდა. ბატონმა ირაკლიმ თათბირი სამსახურის უფროსებთან მისალმებით დაიწყო, რომლის შემდეგაც თითოეული სამსახურის უფროსისგან მათ ზედამხედველობაში მყოფი სამსახურების ირგვლივ არსებული მდგომარეობა გამოიკითხა. სხდომაზე წამოიჭრა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის, ყველაზე აქტუალური ქონების დაბრუნების საკითხი იყო. -„ის, რა ქონებაც ეკუთვნის რაიონს და რაც შესაძლებელია, რომ დავიბრუნოთ კანონიერი გზით, გთხოვთ, დროულად მივხედოთ ამ საქმეს, რათა იმ ობიექტებზე მშენებლობები და სარეაბილიტაციო სამუშაოები სწრაფად დავიწყოთ. ჩვენ გავაგზავნეთ მოთხოვნები ყველა იმ შესაბამის უწყებაში, რომლებსაც ქონების გადმოცემას ვთხოვდით. მომახსენეთ ის, რაზეც დადებითი პასუხი მივიღეთ, ისიც, რასთან დაკავშირებითაც წერილები გზაშია და ისიც, რაზეც უარი გვეთქვა, რათა კიდევ ერთხელ ვცადოთ და გადავაგზანოთ მონაცემები, კიდევ ვიზრუნოთ, რომ, როგორმე დადებითი პასუხი მივიღოთ. გამგებელს მუნიციპალური მიწისა და ქონების განყოფილების უფროსმა გია ალუღიშვილმა მოახსენა, რომ ზემო ქედის კულტურის სახლზე, არხილოსკალოს და მირზაანის ბაგა-ბაღებზე უკვე მიღებულია დადებითი პასუხები ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით, ასე რომ, ამ ობიექტებზე უკვე შესაძლებელია სამუშაოების დაწყება, რაც შეეხება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ქონების გადმოცემას, მისი საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია, დანარჩენი პასუხებიც ალბათ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ქალაქს მეტი სისუფთავე სჭირდება!

ირაკლი შიოლაშვილი შეეხო, აგრეთვე, ქარსაფარ ზოლებში უკანონოდ ძოვების და ქალაქ დედოფლისწყაროს სისუფთავის საკითხებს. ორივე შემთხვევაში შესაბამის უწყებას ჯარიმების გააქტიურებისკენ მოუწოდა. - „მე ვხედავ, რომ კვლავ გრძელდება ქარსაფარ ზოლებში მწყემსების მიერ პირუტყვის უკანონოდ ძოვება, თუმცა, ჩემი დავალების მიუხედავად, კვლავ ვერ ვხედავ ვერცერთ ჯარიმას ამგვარი სახის ფაქტებზე, რაც ძალიან მაღელვებს. გთხოვთ, ამ მხრივ ყურადღება გამოიჩინოთ შესაბამისმა სამსახურმა და გააქტიურდეთ. როდესაც ერთი და ორი მწყემსი დაჯარიმდება, მეორე და მესამე შეეცდება, მსგავსი საქციელი აღარ ჩაიდინოს. გთხოვთ, ამაზე დაფიქრდით და კანონის ფარგლებში იმოქმედეთ! გარდა ამისა, უამრავ თანხას ვხარჯავთ ქალაქის სისუფთავეზე, თუმცა, მოსახლეობა კვლავ აგრძელებს საკუთარი სამშენებლო ნარჩენის ქუჩაში გამოტანას, რასაც ემატება მათ მიერვე საქონლის ნაკელის ქუჩაში დაგროვებაც. ეს ქალაქს იერსახეს უკარგავს. ჩვენს მუნიციპალიტეტს ამისთვის შემუშავებული აქვს კანონი. ვფიქრობ, ამ მხრივაც ყურადღება მართებთ, როგორც ქალაქის მაცხოვრებლებს, ისე თვით ამ სამსახურის წარმომადგენლებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კულტურის სამსახურის უკან კვლავ ნაკელით ავსებს ტერიტორიას პირუტყვის ერთ-ერთი მეპატრონე,ხოლო სოფელ სამრეკლოში, ყოველ მეორე ქუჩაში ნაკელი და სამშენებლო ნარჩენები ყრია. ვფიქრობ, ეს ყველა იმ მოქალაქის დანაშაულია, ვინც ამ ნაგვით ქუჩებს აბინძურებს და არაესთეტიკურს ხდის. წესით, თითოეული მათგანი თავად უნდა ზრუნავდეს თავისი საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანაზე, როცა ასეთი მასშტაბური რაოდენობის ნაგავი უგროვდება, მან ნება უნდა იბოძოს და მანქანის მისაბმელით ან სატვირთო ავტომობილით გაიტანოს და დაყაროს მთავარ ნაგავსაყრელზე და არა რომელიმე გზის განაპირას, როგორც ამას ქოჩების ტბისკენ მიმავალ გზაზე ვაწყდებით-ხოლმე. როგორც ჩანს, მოსახლეობის ნაწილს შინაგანი კულტურა გაუქრა, აქ საქმე მოუწესრიგებლობასთან კი არა, მენტალურ პრობლემასთან გვაქვს, ადამიანები აღარ გრძნობენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, დაიცვან თავისი ქვეყნის, თუ რაიონის სისუფთავე და თუ ისინი ამას არ, ან ვერ ასრულებენ, ე.ი. მათ შეხსენება სჭირდებათ. ვწუხვართ, მაგრამ, ჯარიმის ამოქმედება მოგვიწევს.

ამ საკითხის მოგვარება ბატონმა ირაკლიმ გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ავთანდილ თეთრაულს დაავალა.

წითელას ოთხი შემთხვევა

წითელას ოთხი შემთხვევის დაფიქსირების შესახებ აცნობა ჯანდაცვის უფროსმა მარიეტა გონაშვილმა რაიონის თათბირის წევრებს და მოუწოდა ყველას, რომ ქვეყნის მასშტაბით ძალიან ვრცელდება წითელა, რის გამოც აუცილებელია სასწრაფოდ მიმართონ ამბულატორიებს და პატარები აცრან წითელას ვაქცინით.

რა ხდება სახანძრო სამსახურში?!

თათბირზე თავისი მოხსენება წარმოადგინა სახანძრო სამაშველო სამსახურის უფროსმა ზვიად ჯავახიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამშრომლები ახალი სპეცტანსაცმლით აღიჭურვნენ. ბატონმა ირაკლიმ კი მოიკითხა სახანძროს თანამშრომელთა საწოლების და ლეიბების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მას არ მოსწონს სახანძროს თანამშრომელთა ლეიბების მდგომარეობა, რაზეც მისცა დავალება, რომ სასწრაფოდ შეიცვალოს ეს ლეიბები. ზვიად ჯავახიშვილმა, ამჯერად როგორც ქართული ოცნების ლიდერმა, თათბირს განუცხადა ისიც, რომ სოფელ სამთაწყაროში ტაძრის აშენების მიზნით იგეგმება საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარება, სადაც იმედოვნებდა, რომ გახმოვანების აპარატურა დასჭირდებათ, რაშიც მან დახმარებისთვის კულტურის სამსახურს მიმართა.

კულტურა

თავის მხრივ დახუნძლული აღმოჩნდა ინფორმაციულად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორის ნინო ბახუტაშვილის გამოსვლა.- „პირველი სიახლე ის გახლავთ, რომ კულტურის სამინისტრო გვჩუქნის კინოთეატრს, რომლის დედოფლისწყაროში მოხვედრისთვისაც საკმაოდ ბევრი ვიბრძოლე, თუმცა, ისინი გვიყენებენ ამგვარ ულტიმატუმს, რომ აპარატურას უნდა დავახვედროთ შესაბამისი და თანამედროვე სტანდარტების მქონე დარბაზი. გარდა ამისა, წელს ჩვენი კულტურისა და სპორტის ცენტრს წარდგენილი აქვს ორი პროექტი, ეს გახლავთ თოჯინების თეატრის ჩამოყალიბება და რეწვის განვითარება ჩვენს რაიონში, თუმცა, თოჯინების თეატრში ჩვენ დაგვჭირდება,ალბათ, მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარება დაფინანსების კუთხით, რათა ერთი რეჟისორის და ორი მსახიობის ხელფასი მაინც დაფინანსებულიყო! ასევე სამინისტროდან მოგვაქვს ერთი ან ორი სპორტული ტატამი, რაც ასე რიგად სჭირდება რაიონს.გადრა ამისა, არსებობს კიდევ ასეთი შემოთავაზება და პროექტი, თუ ჩვენ დავახვედრებთ რაიმე ადგილს, ტერიტორიას, სადაც, რაღაც დონეზე იქნება მინიმუმ, შენობის მსგავსი რამ, თუმცა აუცილებლად უნდა იყოს ფართომასშტაბიანი, მაშინ ისინი გვთავაზობენ ერთობლივ პროექტს და გააკეთებენ სპორტულ კომპლექსს, მთავარია, ჩვენ მოვუძებნოთ ალტერნატიული ადგილი!“-განაცხადა ნინო ბახუტაშვილმა. აღნიშნულთან დაკავშირებით ბატონმა ირაკლიმ ასეთი პასუხი გასცა,-„პირველი, კინოთეატრს თუ გვჩუქნიან, გვაჩუქონ და საგარანტიო წერილი შემიძლია მივაწოდო მათ, რომ ჩვენ ნამდვილად შესაბამის და საკადრის პირობებში ვამყოფებთ ამ აპარატურას, რაც შეეხება პროექტებს, მისასალმებელია, მაგრამ სამი თანამშრომლის დაფინანსების საკითხზე ახლავე უარს გეუბნებით და, ვფიქრობ, კულტურის სამსახურმა ეს პრობლემა არსებული თანამშრომლების რესურსებზე დაყრდნობით შეგიძლიათ გააკეთოთ!“-განაცხადა ბატონმა ირაკლიმ.

რაც შეეხება დიდი სპორტული კომპლექსის დამონტაჟებას, ამან თათბირზე ჯანსაღი დისკუსიაც კი გამოიწვია, ნიკოლოზ ხუციშვილი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სპორტული კომპლექსი ქედებისკენ წასულიყო და მისთვის ალტერნატიულ შენობას ზემო ქედის სპორტულ დარბაზს სთავაზობდა საზოგადოებას, ხოლო აკაკი ნატროშვილი ცდილობდა ყველა დაეჯერებინა, რომ ამგვარი საწყის ეტაპზე მყოფი შენობა სოფელ არბოშიკს აქვს და ეგებ მომხდარიყო ისე,რომ პროექტი სისრულეში არბოშიკში მოეყვანათ. ბოლოს მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ სპორტკომპლექსი რაიონში ქალაქის ცენტრში ყოფილიყო, იყო საუბარი იმაზეც, რომ ამგვარი ალტერნატიული შენობა რაიონის ტერიტორიაზე შესაძლოა პირველი სკოლის ეზოშიც აშენდეს, თუმცა საბოლოო ვარიანტზე მაინც ვერ შეჯერდნენ და საკითხი სამომავლო მსჯელობისთვის გადაიდო.

ლალი მეხრიშვილი

ზეიმად გქცეოდეთ სიცოცხლე!

(პირველი გვერდიდან)

არაფერს არა აქვს მადლი, თქვენი ყველაზე დიდი შენაძენიც ის სიყვარული და მეგობრობაა, რომელიც სკოლის კედლებში ჩამოყალიბდა, გაიყოლეთ ეს სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე. პატრიარქის მოწოდება ყველა ქართველისადმი რომ დაბრუნდნენ საქართველოში, სამომავლოდ თქვენც გეხებათ. ალბათ, ზოგი თქვენგანი წავა სასწავლებლად საზღვარგარეთ, ბევრიც დედაქალაქს მიაშურებს, მაგრამ სულ თან უნდა გდევდეთ თქვენი მხარის სიყვარული, ჩვენ „გეორგია“ ვართ, სოფლის მეურნეობის ქვეყანა, მით უფრო ჩვენი რაიონი, ახალი მთავრობის პრიორიტეტი სწორად შეირჩა, სოფლის მეურნეობის განვითარება დააყენებს ფეხზე ჩვენს ქვეყანას, ამიტომ გააკეთეთ სწორი არჩევანი, სოფლის მეურნეობის დარგს კარგი სპეციალისტები დასჭირდება, ეს გაითვალისწინეთ! ღვთისმშობელმა მოგიმართოთ ხელი, ღმერთმა გაკურთხოთ და დაგლოცოთ,–დამოძღვრა ბავშვები მამა პეტრემ.

თორმეტწლიანი „ეპოპეა“ გაიხსენეს მათმა პირველმა მასწავლებლებმა ნანა ბეგიაშვილმა და მანანა ლამაზოშვილმა, კლასის ხელმძღვანელებმა ნათია პოპიაშვილმა, ლალი ინაშვილმა, ლალი პოპიაშვილამა, პედაგოგმა ანა ჭუსაინოვამ. მეთორმეტე კლასელებს მიესალმნენ მეოთხეკლასელები, რომელთა პედაგოგიც ასევე ნანა ბეგიაშვილია. ზეიმში ჩვეული ტემპერამენტი და ხალისი შემოიტანეს მეათეკლასელებმა. თვით კურსდამთავრებულებმაც კარგად იხალისეს პედაგოგიური კოლექტივის მიერ მათთვის მინიჭებულ „ტიტულებზე“, იმღერეს, იცეკვეს, მეგობრული შარჟები მიუძღვნეს აღმზრდელ პედაგოგებს და თავი მოიწონეს დამსწრე საზოგადოების წინაშე.

ბავშვებს მომავლის გზა დაულოცა სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა: – ჩვენ ყველას გვჯერა, რომ არ შეგვარცხვინეთ. გახსოვდეთ, თუ გჯერა საკუთარი თავის, სხვებიც დაგიჯერებენ. ეცადეთ, გარს შემოიკრიბოთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქვთ მიზანი, იდეები, შეუძლიათ მეგობრობა, სიყვარული, სიკეთე. ზეიმად გქცეოდეთ სიცოცხლე, სიკეთით გევლოთ!

დასასრულს მოსწავლეებს მიესალმა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ ხუციშვილი, რომელმაც ამ დღის სამახსოვრო აქსესუარები გადასცა მათ.

ჩვენი რედაქციაც უერთდება მეთორმეტეკლასელთა საზეიმო განწყობას და მუნიციპალიტეტის ყველა კურსდამთავრებულ ულოცავს სკოლის დამთავრებას, უსურვებს წარმატებულ და ბედნიერ მომავალს, სიცოცხლეს და ჯამთელობას!

ნაირა გორაშვილი

გამოუცხადებელი ომი შთამომავლობის წინააღმდეგ



რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო ბაწია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა შენს გულთან მჯრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა?- ეს შოთა ნიშნიანიძეა, ქართველი პოეტი, რომელმაც აბორტის შედეგად დაღუპულ ქართველ შთამომავლობას ლექსი მიუძღვნა და კიდევ ერთხელ დააფიქრა ქართული საზოგადოება ამ პრობლემაზე. ლექსში აბორტის მსხვერპლი, არდაბადებული ბავშვი კვლავ დედის ჯანმრთელობაზე ზრუნავს და სინანულს გამოთქვამს, რომ არ მიეცა საკუთარ ოჯახთან ყოფნის შესაძლებლობა.

„მადლობა უფალს, რომ არ დაგვღუბა,
არ დამიობლა მმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს
ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები.
როგორ მინდოდა, მეც მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.“

მილიონობით ადამიანმა ნახა ბერნარდ ნატანსონის ფილმი „უხმო ღაღადისი“, რომელიც სამთვიანი ნაყოფის აბორტის ოპერაციის ულტრაბგერითი კინოგადაღებით შეიქმნა. ამერიკელი პროფესორი ნატანსონი მეან-გინეკოლოგია, პრაქტიკოსი ექიმი. ფილმის შექმნამდე მას 60 000-მდე აბორტი ჰქონია გაკეთებული. ერთ დღეს მან ცოცხალი ჩანასახის ინტენსიური კვლევა დაიწყო თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის გამოყენებით... და იხილა, და აღიარა: „ემბრიონი ფორმირებული ადამიანური არსებაა საკუთარი ნიშან-თვისებებით. ეს მეცნიერული ჭეშმარიტებაა და არა მხოლოდ რწმენის საკითხი“. ნატანსონმა ფირზე აღბეჭდა სამთვიანი ნაყოფის ხელოვნური აბორტის მსვლელობა. ასე შეიქმნა მართლაც სულისშემძვრელი ფილმი „უხმო ღაღადისი“. პირველ კადრებში ჩანს, თუ როგორ განაბულა ნაყოფი ოპერაციის წინ, თითქოს გრძნობს საფრთხეს; მისი გულისძგერა ჩვეული 140-დან 200 დარტყმა/წთ-მდე იზრდება. იგი გაურბის საოპერაციო იარაღს, ცდილობს დაემალოს მას, მაგრამ უშედეგოდ... ბოლოს იგი ფართოდ აღებს პირს და ცდილობს ყვიროს: „მიშველეთ!“ მაგრამ მისი ხმა დახშულია. დახშულია ჩვენი სასმენელიც და გულის კარიც...

„ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც ჭეჭელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი ბაწია გული.
რად გააწბილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე,
ანგელოსების და ბლანეტების
კეთილი გათვლა და ვარაუდი?“ - ეს სიტყვები ემბრიონის ძახილია, რომელსაც სურს, ყველა მშობელს აუხილოს თვალი და დააფიქროს საკუთარი შთამომავლობის წინააღმდეგ მიმართულ ომზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვთისმეტყველო ეპისტოლეს შემდეგ კვლავ აქტუალური გახდა საზოგადოებაში აბორტის თემის განხილვა.

„ბოროტმოქმედის სიკვილით დასჯა მრავალ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, აკრძალულია და ეს კარგია, რათა ადამიანს მიეცეს ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობა. (მათ მიმართ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება პიროვნების გამოსწორებისათვის).

აბორტი კი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც.

დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება ჩვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ, – არც სახელმწიფო და არც საზოგადოება.

აბორტს და მუცლის მოშლის გამომწვევ საშუალებებს კრძალავდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში (ჰიპოკრატეს ფიცი), ისევე როგორც რომის იმპერიაშიც;

მითუმეტეს, ქრისტეს ეკლესია მას განიხილავდა და განიხილავს როგორც უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვას.

მსოფლიოში პირველად ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში ათეისტურმა ხელისუფლებამ აბორტი ნებადართულად გამოაცხადა 1920 წელს. 1936 წლიდან 1955 წლამდე იგი ისევ აიკრძალა, მაგრამ დღეს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე ევროპასა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, იგი კვლავ ნებადართულია და მასმედიის საშუალებითა და ლიბერალური იდეოლოგიის გავლენით, წახალისებულიც.

ბოროტმოქმედი რომ დაემუქროს დედას, შენი შვილები დახოცე, თორემ მოგკლავო, იგი ხომ თავის სიკვდილს ამჯობინებს და ეს ბუნებრივიცაა. მაშ, როგორ თანხმდება იგი მუცლადმყოფი შვილის წამებით სიკვდილს?! მით უმეტეს, ყველამ უკვე იცის, რომ რამდენი დღისაც არ უნდა იყოს ნაყოფი, მას ისეთივე განცდა აქვს ტკივილისა, როგორიც ზრდასრულს.

გაუგებარია ისიც, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხანაში, როდესაც ყველამ იხილა ფილმი ,,ჩუმი ძახილი“, როგორღა დგამს ამ ნაბიჯს მშობელი, ან როგორ აკეთებს ამას ექიმი-გინეკოლოგი?

ამ ცოდვის სიმძიმე იმითაც ვლინდება, რომ ხშირად აბორტი იწვევს უნაყოფობას, ნაადრევ მშობიარობებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, ფსიქიკის დაზიანებას, აბორტის შემდეგ დაბადებულ ბავშვებში კი - ნერვიულ გამოვლინებებს.

ამიტომაც არის ამდენი დანგრეული ოჯახი დღეს საქართველოში, ამდენი მკვდრადშობილი ნაყოფი და ჩვილთა შორის გახშირებული სიკვდილიანობა. ყოველივე ეს კი როგორც ცალკეულ ოჯახებს, ისე მთელ სახელმწიფოს უდიდეს დანაშაულად აწვება.

ვისაც ეკონომიური პრობლემების გამო შვილის გაჩენა არ სურს, ან სხვა რაიმე მიზეზით მუცლადღებული ნაყოფი მისთვის მიუღებელია, გთხოვთ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ ცოდვას, თუ თქვენ ვერ ახერხებთ მის გაზრდას, ეკლესია უპატრონებს მათ.

როგორც ცნობილია, ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოში 36 000 აბორტი კეთდება, (რეალურად კი გაცილებით მეტი შემთხვევაა), მკვდრადშობილ ჩვილთა რაოდენობა კი 1400-მდე აღწევს.

დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის. (რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული) - წერს პარტიარქი სააღდგომო ეპისტოლეში.

- უნდა აიკრძალოს თუ არა აბორტი? - გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე დედოფლისწყაროელები.

ნათელა თამაზაშვილი, (ექიმი-გინეკოლოგი): „ჩემი აზრით, აბორტის აკრძალვა გამოიწვევს არალეგალური აბორტების გავრცელებას და დანერგვას. ეს ფაქტორი სულაც არ აისახება დადებითად პაციენტების ჯანმრთელობაზე, პირიქით, არალეგალური აბორტმახერების მიერ გაკეთებული ოპერაცია მომავალი დედების ჯანმრთელობას დააზარალებს მხოლოდ. სახელმწიფომ სხვაგვარად უნდა იზრუნოს ერის გამრავლებაზე. მაშინ, ალბათ, ნაკლები ადამიანი მოისურვებს საკუთარი, არდაბადებული შვილის მოკვლას. მე, როგორც გინეკოლოგი, წლებია, აბორტს აღარ ვაკეთებ, ამის გარდა, აბორტის დამანგრეველი შედეგის ახსნის შემდეგ ბევრი დედისთვის გადამიფიქრებინებია მისი გაკეთება“.

დედოფლისწყაროელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ აბორტის აკრძალვა პრობლემას ვერ მოაგვარებს, კარგი იქნება, თუ ბავშვთა სქესის წინასწარი განსაზღვრა აიკრძალება. ბევრი ადამიანი ხომ იმიტომ იკეთებს აბორტს, რომ გოგონა არ უნდა(?!) ამ ინიციატივას მისაღებად მიიჩნევს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც. საზოგადოების ნაწილი კი ამბობს, რომ მომავალი თაობის აღზრდას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა აიღოს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ალბათ ბევრს ახსოვს ქართული სპექტაკლი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, სადაც აქცენტი სწორედ იმ ტენდენციებზე იყო გამახვილებული,იმ წლების საქართველოსთვის რომ იყო დამახასიათებელი - ბიჭის მიერ მოტყუებული ახალგაზრდა გოგონა,შეყვარებულისგან უარყოფილი აბორტს იკეთებს და შვილს კლავს. ამ სპექტაკლს უდიდესი რეზონანსი მოჰყვა მაშინდელ საქართველოში - ადამიანებმა გულთან ახლოს მიიტანეს მთავარი გმირის შეცდომაც და მისი ქმედების შედეგიც. თუმცა, მას შემდეგ ქვეყანაში ბევრი არაფერი შეცვლილა - მამაკაცები ყოველთვის არ დგანან თავის სიმაღლეზე და საყვარელ ქალსა და საკუთარ პირმშოს კვლავ იმეტებენ ტკივილისა და სიკვდილისათვის.

აბორტი დიდი ცოდვაა. ქართველმა ხალხმა რამდენიმე წლის წინ უარი თქვა სიკვდილით დასჯაზე და შესაბამისი კანონიც მიიღო. ქართველი მშობლები კი არასასურველი შვილების სიკვდილზე ხელს ისევ აწერენ, თანაც ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე.

„ეს ცოდვა უმძიმეს ტვირთად აწვება ადამიანს, ოჯახს, მთელ ერს. ამ და სხვა ცოდვების გამოა, ზოგჯერ გაუსაძლისი რომ ხდება ჩვენი ყოფა. თუ არ შევაჩერებთ ყრმათა კვლას, უფალი არ შეაჩერებს იმ განსაცდელებს, ჩვენს ერს რომ განუწყვეტლივ ატყდება თავს. ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება. არ შეიძლება, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, ღვთის წყალობის იმედი ჰქონდეს, თუკი თავისი შვილების ხოცვას არ შეწყვეტს“ - ქართული ეკლესია კიდევ ერთხელ ცდილობს ჩვენი ერისთვის თვალის ახელას.

ინგა შიოლაშვილი

პენსიიდან - პენსიამდე

„სიიდან პოლიტკური ნიშნით ამომიღეს...“

დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე მცხოვრები მარტოხელა ქალბატონი, 84 წლის ლამარა დეისაძე უკვე მერამდენე თვეა უფასო კვებით ვერ სარგებლობს. არადა, საპარლამენტო არჩევნებამდე და საქართველოში ხელისუფლების ცვლილებამდე მოხუცი სათნოების სახლში რამდენიმე წლის განმავლობაში დადიოდა. მისი შემოსავალი მხოლოდ პენსია და სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი ყოველთვიური საარსებო შემწეობა იყო, თუმცა „შირაქმა“ გაარკვია, რომ მესამე თვეა, სოციალური დახმარებაც შეუჩერდა. ამბობს, რომ აქამდე საკვებზე ზრუნვა აღარ უხდებოდა. სახელმწიფოსგან მიღებულ თანხას კი ძირითადად კომუნალურ გადასახადებსა და მედიკამენტების შეძენას ახმარდა.

ახლა ვითარება შეცვლილია. მას შემდეგ, რაც სათნოების სახლიდან საკვებს აღარ იღებს, მისი ყოფა გაცილებით გართულდა. მარტოხელა ქალბატონი ამბობს, რომ პენსია პურის და ყოველდღიურად ელემენტარული საკვების შესაძენადაც აღარ ჰყოფნის. ერთი თვის განმავლობაში, პენსიიდან პენსიამდე დასახარჯი ყოველი თეთრი გათვლილი აქვს, თუმცა არც ის იცის, ამიერიდან რითი დაფარავს კომუნალურ გადასახადებს, ან რა თანხით შეიძენს საჭირო მედიკამენტებს.

ამბობს, რომ ბოლო დროს მაღალი წნევების გამო ხშირად ჩაწოლილია. მუდმივი ავადმყოფობის გამო აღარც მოძრაობა შეუძლია და შესაბამისად საკვების შეძენა-მომზადებაც პრობლემად ექცა. ოჯახი არ ჰყავს. ძმები, რომლებიც მასზე მზრუნველობას იჩენდნენ, გარდაეცვალა. ამბობს, რომ მას შემდეგ უყურადღებოდ დარჩა. ეჭვობს, რომ დახმარებები იმიტომ შეუწყვიტეს, არჩევნებამდე რამდენჯერმე „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში იმყოფებოდა.

„ძალიან ვავადმყოფობ, მაღალი წნევები მაქვს და ბოლო ხანს სიარული მიჭირს, ხშირად ჩაწოლილი ვარ. ერთი პერიოდი სათნოების სახლში ვერ დავდიოდი, მერე კი გაირკვა, რომ სიიდან ისე ამოვუღივარ, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ზოგჯერ, როცა მისვლას ვერ ვახერხებდი, სხვას ვთხოვდი ხოლმე და სათნოების სახლიდან ჩემს წილ საკვებს სახლში მომიტანდნენ ხოლმე. მერე გაირკვა, რომ სიაში აღარ ვიყავი, ეს რომ გავიგე, სახლში მოტანილი საჭმელი უკან გავატანე. ღარიბი კი ვარ, მაგრამ თავმოყვარეობა მაქვს, მათხოვარი არ ვარ-მეთქი და ჩემი ულუფა უკან გავატანე. წინასაარჩევნოდ, „ქართული ოცნების“ შტაბში დავდიოდი და როცა დამინახეს, რომ იქ მივედი, მას შემდეგ წამშალეს სიიდან და სოციალური დახმარებაც მალევე შემიწყვიტეს. გაზეთები გამომქონდა ხოლმე საარჩევნო შტაბიდან და ამიტომ მივდიოდი. მაგრამ, მაშინვე პირდაპირ ვამბობდი, დახვრეტაზეც რომ გავეყვანე და პენსიაც რომ მოეხსნათ, ხმას მაინც თამაზის შვილს, ლექსო თამაზაშვილს მივცემდი.

ობოლი ვიყავი, მარტო გავიზარდე, მერე დაძმები გავზარდე. არავინ არ მყავს ძმაც დამეღუპა, ცოტა ხანს დისშვილმა წამიყვანა თბილისში. მუდმივად ვერავის შეაწუხებ ადამიანი, ამიტომ მალევე დედოფლისწყაროში დავბრუნდი. 40 წელიწადი რაიკავშირში მდივნად ვიმუშავე, ავიც მესმის და კარგიც, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ მიკრძალავ, რომელი პარტიის შტაბში შევალ და რა აზრს გამოვხატავ?.. აი ეს არ მომწონდა სააკაშვილის პერიოდში.

ჩემი შემოსავალი მხოლოდ პენსიაა, ასევე მქონდა დახმარება. თუმცა მარტის შემდეგ საარსებო შემწეობა აღარ მიმიღია, შემიჩერეს და ხელახლა შემამოწმეს. ისიც არ ვიცი აღმიდგება თუ არა. არ ვიცი, რა ქულები მოვა და რა შედეგი ექნება. პენსიას რომ მივიღებ, ყველა თეთრი წინასწარ გამიზნული მაქვს, ძირითადად მაკარონს და კარტოფილს შევიძენ ხოლმე და არ ვმათხოვრობ... ყველაფერს წინასწარ მოვიმარაგებ ხოლმე და თავს ვირჩენ. სხვადასხვა მედიკამენტების შეძენაც ხშირად მიწევს, ბევრი რამ მაწუხებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სათნოების სახლიდან ამომწერეს, ძალიან გამიჭირდა. ეს სადილი პენსიის დაზოგვაში ძალიან მეხმარებოდა და შეღავათს მაძლევდა. განსაკუთრებით ის, რომ ყოველდღიურად პურის შეძენა აღარ მიწევდა. ახლა კი ძირითადი თანხა საკვების შეძენას უნდა და რომელ ერთს გავაწვდინო საფიქრალი მაქვს.

სიარულიც რომ მიჭირს, ხშირად დაბლა ჩასვლასაც ვერ ვახერხებ. მეხუთე სართულზე ვცხოვრობ, თოკით კალათას დაბლა ჩავუშვებ ხოლმე და საჭირო ნივთებს მეზობლები ასე მაწვდიან. თქვენს გაზეთსაც ასე ვკითხულობ, კალათაში ჩამიდებენ ხოლმე და, მოუთმენლად ველოდები, როდის მოვა „შირაქი“. ძალიან მიყვარს კითხვა და მომწონს თქვენი წერილები, საინტერესო სტატიები ქვეყნდება. ბიძინა ივანიშვილის და ლექსო თამაზაშვილის სურათი სულ საწოლის თავთან მიდევს. სიყვარულს ხომ ვერ დამიშლიან, თამაზი ისე მიყვარს, როგორც ჩემი ძმა და რა თქმა უნდა მისი შვილებიც ძალიან მეყვარება. როცა გავიგე, რომ თამაზი დააკავეს, ვთქვი, სულ რომ წამართვან პენსიაც და დახმარებაც, სულ რომ სული ამომხადონ, მაინც თამაზაშვილს დავუჭერ მხარს მეთქი. ჩვენი ხალხია და ძალიან ვაფასებ,“ - გვეუბნება ლამარა დეისაძე.

გაზეთი „შირაქი“ მარტოხელა მოხუცის სათნოების სახლის სიიდან ამოღების მიზეზებით დაინტერესდა და სათნოების სახლის ხელმძღვანელს **ციცო დარჩიაშვილს** გაესაუბრა. მისი თქმით, მოხუცი ხშირად აცდენდა, რის გამოც სიიდან ამოღება მოხდა. დარჩიაშვილი ჩვენთან საუბრისას მზადყოფნას გამოთქვამს, რომ თუკი ლამარა დეისაძე სათნოების სახლში სიარულს შეძლებს და უფასო კვებით სარგებლობას კვლავაც მოისურვებს, ადმინისტრაცია მას არ შეაფერხებს და სიაში კვლავაც ჩაწერს.

დეისაძისთვის დახმარების შეჩერების მიზეზების დასადგენად გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოსაც ეწვია და ვითარების გარკვევა სცადა. სააგენტოში განმარტავენ, რომ პერიოდულად ოჯახების გადამოწმება ხელახლა ხდება, ეს შემთხვევაა ამ ბენეფიციარის მიმართაც.

დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის **ზურაბ ზურაშვილის** მტკიცებით, მარტოხელა ლამარა დეისაძე იმ 70 ოჯახს შორის მოხვდა, რომელთა ქულების დათვლა ამ დრომდე კვლავაც გრძელდება. მისი თქმით, აღუდგება თუ არა ქალბატონს საარსებო შემწეობა, ეს 1 თვის ვადაში გახდება ცნობილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ღვინის ფესტივალი

თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში 11 მაისს, უკვე მეოთხედ, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, „ღვინის კლუბის“ ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს პატრონაჟით, „ახალი ღვინის ფესტივალი 2013“ გაიმართა. ღვინის ფესტივალის ტრადიცია უამრავ ქვეყანაში არსებობს, საქართველო კი, ჯერ მხოლოდ მეოთხე წელია ამ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის სამშობლოდ საყოველთაოდ აღიარებულ ქვეყანაში ღვინის ზეიმის ტრადიცია არც ახალია და არც უცხო.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, მათ შორის, სხვადასხვა კუთხის გლეხებმა, მეღვინეებმა, დეგუსტატორებმა, ტურისტებმა, ღვინისა თუ უბრალოდ გართობის მოყვარულებმა. ფესტივალზე ორმოცამდე მსხვილი კომპანია და დაახლოებით ამდენივე საოჯახო და მცირე მარანი იყო წარმოდგენილი. დამთვალიერებელი უნიკალური ჯიშების წითელ და თეთრ, მშრალ და სველ ქართულ ღვინოებს სიამოვნებით აგემოვნებდა. თავად მწარმოებლები და ოჯახური მარნების წარმომადგენლები სიამაყით და სიხარულით გვაცნობდნენ, როგორც ღვინოს, ასევე, მის ტრადიციასა და ისტორიას.

ფესტივალზე მისულთა უმრავლესობა კახური ტრადიციული წესით დაწურულ კახური ჯიშის ღვინოებს ერთხმად ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ და საბოლოო არჩევანი მაინც თავად მომხმარებელზეა.

2013 წლის „ახალი ღვინის ფესტივალის“ დასკვნითმა ნაწილმა ნამდვილი ქართული ანტურაჟით - გულიანი ჩახუტების, ტრადიციული ქართული სადღეგრძელოების, კახური „მრავალჟამიერის“, იმერული „მაყრულის“, მწვადისა თუ უფასო ტრანსპორტის რიგებთან დროდადრო ატეხილი ხელჩართული ჩხუბის ფონზე ჩაიარა.

დღის ბოლოს, გვარიანად შექეიფიანებული, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო დამთვალიერებელი უკვე ერთი სუფრიდან მეორეზე ინაცვლებდა და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ფესტივალი დახურულად არ გამოცხადდა. ორგანიზატორების თქმით, ღვინის ფესტივალის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართვა შემთხვევითი სულაც არ არის. მართლაც, იქ მისული ფიქრობ, რომ ქართული ღვინო საოცრად ჰგავს თავად საქართველოს, მისი ხასიათით და ხალხით. ფიქრობ, რომ საქართველოსთვის ღვინო თრობის უბრალო საშუალება ან მხოლოდ ტრადიცია კი არა, სული და ისტორიული თვითდამკვიდრების ყველაზე აშკარა გამოხატულებაა.

ორგანიზატორების თქმით, შარშანდელთან შედარებით, ოჯახური მეურნეობებისა და წვრილი მწარმოებლების რიცხვი წელს საკმაოდ გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მოკრძალებული მწარმოებლების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

„ახალი ღვინის ფესტივალი 2014“ მომავალ წელს, ზუსტად იმავე დროს, მაისის მეორე შაბათს გაიმართება, მანამდე კი, ღვინის მოყვარულებს ოთხიდან შვიდ ივნისამდე „ღვინის გამოფენა“ უმასპინძლებს.

ელზა ხარაშვილი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პიროპლაზმოზი

(ნაბარეკი, ციება, დასიცხვა, ტკიპარა)

პიროპლაზმოზი (Piroplasmosis) არის სეზონური (საძოვრის პერიოდი), ჩვეულებრივ სპორადულად, უფრო იშვიათად ენზოოტურად (კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ტკიპების რაოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად იცვლება) მწვავედ მიმდინარე დაავადება, რომელიც ვლინდება მუდმივი ტიპის ციებ-ცხელებით, ანემიით, სიყვითლით, მუქი წითელი შარდის გამოყოფით. ეკონომიკური დანაკარგი ენზოოტიის პერიოდში წარმოიშვება დაავადებული ცხოველების დახოცვისა და ლაქტაციის პერიოდში რძის პროდუქტიულობის დაქვეითების შეჯამებით.

პიროპლაზმოზი მწვავე ფორმით მიმდინარე მძიმე დაავადებაა, რომლის აღმძვრელია Piroplasma Bigeminum, მისი მკურნალობის დაწყება აუცილებელია დროულად, პირველი კლინიკური ნიშნის გამოვლენისთანავე.

რა უნდა ვიცოდეთ პიროპლაზმოზის შესახებ: დაავადების გადამტანია ერთმასპინძლიანი ტკიპა Boophilus Calcaratus. (პიროპლაზმებს გადასცემს ნიმფობის ფაზაში). უფრო იშვიათად ორმასპინძლიანი — Rhipicephalus bursa (იმაგოს ფაზაში) და სამმასპინძლიანი — Haemphyasalis punctata (იმაგოს ფაზაში).

გამომწვევის არსებობის ხანგრძლივობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ორგანიზმში 6-12 თვეა, თუმცა ზოგჯერ – 12-16 კვირა.

დაავადება გავრცელებულია დედამიწის ყველა კონტინენტის უპირატესად სამხრეთ ზონებში, სადაც გვხვდება გადამტანი ტკიპები. მიმდინარეობს ორი ან სამი ენზოოტური აფეთქების სახით (გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე), სპორადული შემთხვევები შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში.

დაავადება იწვევს:

1. ღრმა ცვლილებებს ერითროციტებში (ერითროციტები იშლება).
2. ვითარდება ანოქსემია (სისხლში ჟანგბადის ნაკლებობა).
3. იწყება ცხოველების ინტოქსიკაცია
4. ირღვევა თერმორეგულაცია, გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობა.
5. საქონელს ეწყება სტრესი, უნვითარდება კუნთების კანკალი, წინაგულებისა და პარკუჭების ატონია.
6. შეიძლება განვითარდეს კიდურების პარეზი.

კლინიკური სიმპტომები:

1. ცხოველს უქვეითდება მადა, დათრგუნულია.
2. ლორწოვანი გარსები ყვითელია.
3. ავადმყოფი ცხოველები ჯოგს ჩამორჩება, ხშირად წვანან
4. რძის გამოყოფა მკვეთრად მცირდება.
5. სუნთქვა გახშირებულია.
6. სხეულის ტემპერატურა მატულობს 41-42 0ც—მდე.
7. მე-2-3 დღეს უვლინდებათ ლორწოვანი გარსის სიყვითლე.
8. ვითარდება ყაბზობა და ფაღარათი.
9. შარდის გამოყოფა ხშირდება.
10. მძიმე შემთხვევაში შარდი იძენს სისხლნარევ შეფერილობას.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 8-15 დღე.

ავადმყოფ ცხოველს თუ დროზე არ აღმოვუჩენთ დახმარებას, იგი იღუპება 5-7 დღეში.

მკურნალობა:

1. ცხოველებს უნიშნავენ სრულ მოსვენებას.
2. საკვებად აძლევენ კარგი ხარისხის თივას, ადვილად მოსანელებელ წვნიან საკვებს, საკმაო ოდენობის წყალს, წვრილად დაჭრილ ძირებს ან ფოთლებს, კომბოსტოს, რძეს, რძის შრატს.
3. რეკომენდირებულია სამკურნალოდ გამოიყენოთ პრეპარატი პიროტექსი B-12, პიროტექსი პლიუსი, დოზირება: პრეპარატი იხსნება 12,5-15მლ საინექციო ხსნარში (ვლებულობთ 7% ხსნარს), და კეთდება 1მლ 20კგ. ცოცხალ წონაზე კუნთში, დოზა 3,5 მგ მოქმედი ნივთიერება, 1კგ ცოცხალ წონაზე.

შეიძლება გამოვიყენოთ პიროტექსი-საინექციო (1მლ 15კგ ც.წ-ზე კუნთში). დაგვიანებულ შემთხვევაში, პიროტექსის ინექცია სასურველია გავიმეოროთ 24 საათში.

4. ვნიშნავთ სიმპტომატურ საშუალებებს: საჭმლის გადამამუშავებელი ორგანოების მოწესრიგებისათვის - გლაუბერის მარილს (400-600გრ - 10 ლ. წყალში), ან სხვა საშუალებებს.
5. გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემებისათვის — კოფეინი, ვიტამინები, მიკროელემენტები, ნახშირწყლები და სხვ.

მკურნალობის დროს აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება პირველ რიგში ცოხნის აღდგენას, საჭმლის მომნელებელი სისტემის სწრაფ გაუმჯობესებას, შემდეგ მეწველი საქონლის წველადობას, ეს შეიძლება მიაღწიოთ პრეპარატების "დასი"-ს, "ოლიგოფოსი"-სა და "ლაივისააკი"-ს გამოყენებით ინსტრუქციის მიხედვით.

ПРОФИЛАКТИКА:

ენზოოტურ კერებში დაავადების აფეთქების დასაწყისში ცხოველებს ეძლევათ პიროტექსი B-12, პიროტექს პლიუსი, თხევადი პიროტექსი, ტრიპანოსტოპი, ან სხვა საშუალებები, რომლებსაც უნარი აქვთ ორგანიზმი დაიცვას დაავადებისაგან 2-3 კვირის განმავლობაში.

მეურნეობებში უნდა ჩატარდეს ბრძოლა ტკიპებთან, უმთავრესად აგროტექნიკური და მელიორაციული ღონისძიებებით ტკიპების Boophilus Calaratus სტაციებისა და ბიოტოპების მოსპობის გზით.

საქართველოში - დაავადების პირველი აფეთქება აპრილი-მაისი, მეორე — ივლისი, მასამე - აგვისტოს ბოლოდან ნოემბრამდე.

ДИФФЕРЕНЦИРЕБА:

პიროპლაზმოზის დიფერენცირება აუცილებელია ჯილეხისაგან და ლეპტოსპიროზისაგან.

ჯილეხის (ციმბირული წყლული) დროს სისხლი მუქი ფერისაა, არ დედდება, ცხოველს აქვს ქოშინი, იგი დათრგუნულია ძლიერი ციებ-ცხელების გამო, ქიმიოპრეპარატები არაეფექტურია, ცხოველი სწრაფად კვდება.

ლეპტოსპიროზისა და პიროპლაზმოზის საერთო ნიშანი ჰემოგლობინურია. ლეპტოსპიროზის დროს სიყვითლე მკვეთრად არის გამოხატული, მკურნალობის შემდეგ სიყვითლე კვლავ აღინიშნება. ნორმალური ტემპერატურის დროს შეიძლება გამოვლინდეს სისხლიანი შარდი.

ყველაზე კარგი დაცვა დაავადებისგან არის პროფილაქტიკა!

მიხეილ ჭიჭაყუა
"ასოციაცია მომავლის ფერმერი"
მთ. ვეტ. ექიმი
ბიოლოგიის დოქტორი

ავანგარდი
სისტემური ფუნგიციდი



სისტემური ფუნგიციდი
ავანგარდი
დაიცავს თქვენს ვენახს ჭრაქისგან!
ფასი: 20 ლარი

აგროქიზიყი
AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა
პირველად დედოფლისწყაროში !
მხოლოდ აგროქიზიყი გთავაზობთ

შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში
6 თვიანი უპროცენტო განვადებით,
მხოლოდ პირადობის მოწმობით.
შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა
შეიძინეთ
„აგროქიზიყი"-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

„კონკერი"
ყველაზე ეფექტურად ებრძვის
შვრიუკას
შეიძინეთ
„აგროქიზიყი"-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

1 ლიტრის ფასი - 65 ლარი!!!
შეიძინეთ
„აგროქიზიყში"
6 თვიანი
უპროცენტო
განვადებით!!!

წმიდა მართალი იობ მრავალვნებული

წმიდა მრავალვნებული იობი (დაახლ. 2000-1800 წ. ქრისტემდე) ცხოვრობდა ჩრდილოეთ არაბეთში, ყუცის ქვეყანაში. მისი ცხოვრება აღწერილია ბიბლიაში (იობის წიგნი). არსებობს ვარაუდი, რომ იობი აბრაამის ძის, ნაქორის ვაჟი იყო. ღვთისმოშიში და ღვთისმოსავი იომი მთელი სულით უფლის ნებას იყო მინდობილი. ღმერთმა აკურთხა მისი კეთილმსახურება და ურიცხვი სიმდიდრე მიმადლა: უამრავი საქონელი ჰყავდა და ყოველგვარი სიკეთით იყო აღსავსე. მისი შვიდი ვაჟი და სამი ასული ურთიერსიყვარულით ცხოვრობდა. ისინი მორიგეობით იკრიბებოდნენ ერთმანეთთან საერთო ტრაპეზზე, ყოველ მეშვიდე დღეს მართალი იობი მსხვეპლს სწირავდა უფალს შვილებისათვის: „იქნებ ვინმემ შესცოდა, იქნებ ვინმემ მკრეხელობა გაივლო გულშიო“. სამართლიანობისთვის და პატიოსნებისთვის წმიდა იობი საყოველთაო პატივით სარგებლობდა თანამოქალაქეებში.

ერთხელ, როცა უფლის საყდარში წმიდა ანგალოზები გამოცხადდნენ, მათ შორის გამოჩნდა სატანაც. ღმერთმა ჰკითხა სატანას, ნახა თუ არა მან მონა უფლისა იობი, მართალი და უმანკო. სატანამ ქედმაღლურად უპასუხა, რომ უფალი იცავს მას და უმრავლებს დოვლათს, მაგრამ თუ უბედურება დაატყდება თავს, იობი დაგმობს უფალს. ღმერთს სურდა გამოეცადა იობის მოთმინება და სატანას უთხრა: „ყველაფერს, რაც იობს გააჩნია, შენს ხელში ჩავაგდებ, მხოლოდ მას ნუ შეეხები“. ამის შემდეგ იობს მოულოდნელი უბედურებების წყება დაატყდა თავს: ერთმა მაცნემ ხარების გატაცების ამბავი მოუტანა, მეორემ ცხვრის ფარისა და მსახური ბიჭების დაწვა აუწყა ციდან ჩამოვარდნილი ცეცხლით, მესამემ აქლემების ამოხოცვა ამცნო. მაგრამ ყველაზე თავზარდამცემი იყო ის, რაც ბოლოს შეიტყო: როცა იობის ვაჟები და ასულები უფროსი ძმის სახლში ილხენდნენ, უდაბნოდან მონაბერმა მძლავრმა ქარმა ჭერი თავზე დაამხო ყმაწვილებს და ყველა ამოხოცა. მწუხარებისაგან გულშემოყრილმა იობმა მოსასხამი შემოიხია, გლოვის ნიშნად თავი გადაიპარსა, მაგრამ უფლის დასაგმობად ერთი სიტყვაც არ დასცდენია, პირიქით, მიწაზე დაეცა, შემოქმედს თაყვანი სცა და თქვა: „შიშველი გამოვედ საშოითგან დედისა ჩემისა, შიშველი მივალ დედისა ჩემისა მიწისა მიმართ. უფალმა მომცა, უფალმა წამგვარა. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე“.

უფლის ანგელოზები კვლავ წარდგნენ ღვთის წინაშე. სატანამ თქვა, რომ იობი მართალია, სანამ თვითონ არის უვნებელი, „თუ თვით მას შეეხება უბედურება, პირში დაგიწყებს გმობასო“. უფალმა აუწყა: „უფლებას გაძლევ, გააკეთო რაც გინდა, ოღონდ სულს ნუ შეეხები“. სატანამ საშინელი ავადმყოფობა - კეთრი შეჰყარა იობს. ვნებული იძულებული გახდა ხალხს განშორებოდა. მეგობრებმა და ნაცნობებმა მიატოვეს ერთ დროს დიდებული და სახელგანთქმული კაცი. ცოლი კი საყვედურით ეუბნებოდა: „სად არის შენი სარწმუნოება და კეთილი საქმე, რატომ არ გშველის ღმერთი? სჯობს ჰგმო იგი, იქნებ ბოლო მაინც მოგიღოსო“. მართალი იობი განსაცდელშიც უფლის ერთგული დარჩა და ერთი საყვედურიც არ დასცდენია ღვთის მიმართ.

იობის უბედურება გაიგო მისმა სამმა მეგობარმა და მოინახულა ავადმყოფი. დავრდომილის დანახვაზე მათ ტირილი წასკდათ. შვიდი დღე-ღამის განმავლობაში უსიტყვოდ შესცქეროდნენ მის ტანჯვას და გულწრფელად თანაუგრძნობდნენ. ბოლოს იობმა გახსნა ბაგე და თავისი გაჩენის დღე დასწყევლა. მეგობრები ფიქრობდნენ, რომ იობი ღვთისგან ისჯებოდა ცოდვებისათვის და ურჩიეს, მონანიება. მართალი კი პასუხობდა, რომ ის ცოდვებისთვის კი არ იტანჯებოდა, არამედ უფალმა გამოსაცდელად მოუვლინა ეს სატანჯველი.

ამგვარი მოთმინებისთვის ღმერთმა ხელახლა დააჯილდოვა იობი. იგი სრულიად განიკურნა და უწინდელზე უფრო გამდიდრდა. გარდა ამისა, მას კვლავ მიეცა შვიდი ვაჟი და სამი ქალი. ამის შემდეგ იობმა კიდევ 140 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 248 წლისა.

წმიდა მოწამე ბარბარ ავაზაკყოფილი საბერძნეთში ცხოვრობდა და მრავალი წელი ავაზაკობდა. სახიერმა უფალმა, რომელსაც არ უნდა ცოდვილის სიკვდილი, სინანულით აავსო მისი სული. ერთხელ, როცა ბარბარი გამოქვაბულში იჯდა და ნაძარცვს ათვალიერებდა, ღვთის მადლმა შეძრა მისი გული. ის დაფიქრდა გარდაუვალ სიკვდილზე და საშინელ სამსჯავროზე. ბარბარს მოაგონდა ყველა ბოროტება, მის მიერ ქმნილი და სინანულში ჩავარდა. „უფალს სათნო ეყო მის გვერდით ჯვრაცმული ავაზაკის ლოცვა, მეც დამიცავს თავისი გამოუთქმელი მონყალების გამო“. მან მთელი საგანძური გამოქვაბულში დატოვა და უახლოეს ეკლესიაში წავიდა, მღვდელს მოუთხრო ყველაფერი და შეევედრა, მიეღო მისგან აღსარება. მღვდელმა ბარბარს თავის სახლში მისცა ბინა. მღვდლის სახლში ავაზაკყოფილი საღორეში დასახლდა, საქონლის საჭმელს ჭამდა და ცხოველზე უარესად მიაჩნდა თავი. მღვდლისგან ცოდვათა შენდობის შემდეგ წმიდა ბარბარი ტყეში წავიდა და 12 წელი გაატარა გამუდმებულ ლოცვასა და ტირილში. ბოლოს, წმიდანმა ზეციდან ნიშანი მიიღო, რომ მისი ცოდვები აღხოცილ იქნა უფლისაგან. ერთხელ იმ ადგილებში ვაჭრებმა გაიარეს. მათ შენიშნეს, ხშირ ბალახში რაღაც შეიძრა, იფიქრეს, რომ ნადირი იყო და ისარი ესროლეს. ახლოს რომ მივიდნენ, შეძრწუნდნენ. წინ მომაკვდავი ადამიანი იწვა. წმიდანი ვაჭრებს შეევედრა, არ ედარდათ, მხოლოდ მღვდლისთვის შეეტყობინებინათ ეს ამბავი. მღვდელმა, რომელმაც მიიღო წმიდა ბარბარის აღსარება, და მისცა მას წმიდა ზიარება, ამჯერად ვერ მიუსწრო სულთმობრძავს. ის კრძალვით მიეახლა წმიდანის ღვთაებრივი შუქით განათებულ ცხედარს. დაასაფლავა იქვე, სადაც გარდაიცვალა. შემდგომ წმიდა მოწამის კუბოდან წმიდა მაკურნებელმა მირონმა იწყო დენა. წმიდა ბარბარის ნაწილები განისვენებენ კელიის მონასტერში თესალიაში, ქალაქ ლარსის მახლობლად.

წმიდა მოწამენი ბარბარ მხედარი, ბაქო, კალემახოსი და დიონისე (+362) ცხოვრობდნენ მე-4 საუკუნეში და იმპერატორ იულიანე განდგომილის არმიაში მსახურობდნენ. წმიდა ბარბარი ფარული ქრისტიანი იყო. ფრანკებთან ომის დროს მან გაიმარჯვა მტრის გოლიათ მეომართან ორთაბრძოლაში და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ფრანკებზე გამარჯვების შემდეგ მხედართმთავარმა ბაქომ გადაწყვიტა მსხვერპლი შეეწირა წარმართული ღმერთებისათვის და პირველი მსხვერპლშეწირვის პატივი დაუთმო ბარბარს, როგორც გამარჯვებულს. წმიდა ბარბარმა საჯაროდ გამოაცხადა თავისი ქრისტიანობა და უარი თქვა მსხვერპლშეწირვაზე. ამისთვის იულიანე განდგომილის ბრძანებით სასტიკად აწამეს. წმიდანი ხეზე დაკიდეს და ისე დაუსერეს სხეული, რომ შიგნეული გადმოუცვივდა. წმიდა მოწამემ ღვთისგან შემწეობა ითხოვა. მაშინ გამოჩნდა უფლის ანგელოზი და წმიდანის წყლულები განკურნა. ამ სასწაულის მხილველმა ბაქომ და ორმა მხედარმა - კალემახოსმა და დიონისემ წარმართული ღმერთები უარყვეს და ირწმუნეს ქრისტე, რისთვისაც თავი მოეკვეთათ. წმიდა ბარბარი ურმის თვალზე აწამეს და ცეცხლი შეუნთეს, მაგრამ უფალმა უვნებლად დაიცვა მოწამე, ალი ჯალათებს მოედო და დაწვა. ამის შემდეგ წმიდანს კიდევ 7 დღე აწამებდნენ, მაგრამ ღვთაებრივი ძალის შემწეობით უვნებელი რჩებოდა. ამ სასწაულების მხილველი ბევრი წარმართი მოექცა ქრისტეს სჯულზე. წმიდა ბარბარმა თავისი საოცარი მოღვაწეობა დაასრულა 362 წელს. ის მახვილით განგმირეს. წმიდანის სხეული მიწას მიაბარა პელოპონესის ეპისკოპოსმა ფილიკიმ.

კახეთში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის წინასწარი მონაცემები ცნობილია

კახეთში, 14 მაისს მოსული ძლიერი სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალის წინასწარი მონაცემები ცნობილია. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აკაკი ოსიაშვილმა განუცხადა, სტიქიის შედეგად მიყენებული ინფრასტრუქტურული ზარალი 300 000 ლარს აღწევს, სასოფლო—სამეურნეო ზარალი კი დაახლოებით სამჯერ მეტია.

„ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, სტიქიით დაზარალებულ სოფლებში შიდა საუბნო გზების აღდგენისთვის დაახლოებით 300 000 ლარია საჭირო. სოფელ ძირკოკში კილომეტრნახევრიანი გზა, ფაქტობრივად აღარ არსებობს. რაც შეეხება სასოფლო—სამეურნეო სავარგულებს, ამ მხრივ ზარალი დაახლოებით სამჯერ მეტია. ჯერ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ წინასწარი ინფორმაციით, 1 800 ჰექტარზე მრავალწლიანი კულტურები 100%—ით არის განადგურებული. ზარალის დათვლა გრძელდება და ზუსტი მონაცემები სავარაუდოდ რამდენიმე დღეში გვექნება,“ — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აკაკი ოსიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ძლიერმა სეტყვამ კახეთის სოფლებში კარდენახში, ჭანდარში, ძირკოკში, ვეჯინში, კოლაგსა და ბაკურციხეში მოსავალი 70—100%—ით გაანადგურა. სტიქიის შედეგად ატმის ბაღები, ვენახები და ბოსტნეული თითქმის მთლიანად განადგურდა. დაზიანდა გზები. კოლაგის ხევიდან გადმოვარდნილმა წყალმა ათეულობით სახლი და ეზო დატბორა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში აცხადებენ, რომ ზარალის ანაზღაურებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია და ეს საკითხი ზარალის სრულად დათვლის შემდეგ გადაწყდება.

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

სიკვდილი ტკივილია ცოცხალთათვის, მაგრამ მას თანადგომა და თანაგრძნობა გვიადვილებს. გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გაიზიარა მწუხარება ჩვენი ოჯახის წევრის - **რუსუდან მაჩაბლიშვილის** გარდაცვალების გამო. გვინდა, გამორჩეული მადლობა ვუთხრათ სოფელ გამარჯვების სკოლის პედკოლექტივს და ქალბატონ ნაირა გორაშვილს იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რაც მათ გამოხატეს კოლეგისა და პირველი მასწავლებლის გარდაცვალების გამო.

და ნათელა მაჩაბლიშვილი,
სიძე ფერდინანდ გონაშვილი.

როცა გინდა მიხვიდე ქ.დედოფლისწყაროს ტერიტორიულ ორგანოში, სულ ხალხმრავლობაა. ზოგი რა შეკითხვის პასუხს ითხოვს, ზოგი რას. ყველა წვრილად, ძირისძირობამდე იღებს სასაურველი თემის შესახებ ინფორმაციას. ერთი და ორი ასეთი მოქალაქის გასტუმრება კიდევ არაფერია, მაგრამ ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებს ათასაჯერ უწევთ ერთი და იგივეს გამეორება, როგორც ბატონი ბესიკ ცისკარაული, ასევე მისი ნებისმიერი თანამშრომელი ათასმეერთესაც ღიმილით, თბილი საუბრით, კორექტულად უხსნის, თუნდაც ნომინალური ბარათის გამოყენების წესს.

ბარაქალა მათ გამძლეობასა და საქმისადმი ასეთ გულისხმიერ დამოკიდებულებას. უფალმა გაგაძლიეროთ და უფრო მეტი შეგალებინოთ ჯერ თანამოქალაქეებისა და შემდეგ სრულიად საქართველოსათვის.

გულითადი მადლობა განსაკუთრებით მინდა ვუთხრა ქალბატონ ქეთინო წერეთელს. მისმა კეთილმა დამოკიდებულებამ საქმისა და პიროვნებებისადმი, გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა და მათი სახელების სააშკარაოზე გამოტანა.

ქეთინომ, თითქოს უჩვეულო, მაგრამ კეთილი საქმე გააკეთა, მან ორი მოხუცი ქალბატონის გული გაახარა. ესენი თამარ და მარიამ ნატროშვილები არიან. მათ უჭირთ ფეხით სიარული ჯანმრთელობისა და წლოვანების გამო, ამიტომ საკრებულოში მოსული ნომინალური ბარათების გამოტანა დროულად ვერ მოახერხეს. ქეთინომ უყურადღებოდ არ დატოვა ისინი, მოიძია მათი მისამართები და რამოდენიმეჯერ მიაკითხა ბინაზე. მესამედ მოუხდა მისხვლა, რადგან ქალბატონი მარიამი შვილთან იყო რამოდენიმე თვით. თამარიც არ ხვდებოდა სახლში.

ღმერთი სამობით არისო და.. ორი გახარებული ადამიანი, ორი მადლიერი ხანშიშესული ქალბატონი უერთდება ჩემს მადლობას და დედის ლოცვით ლოცავენ ყველას, ვინც სამაგალითო საქმეში მიიღო მონაწილეობა.

მადლობა ქ.დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს მთლიან შემადგენლობას. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ლიკა ნატროშვილი
ნიკორაციხის 1.№18-ის მცხოვრები.

თერაპიული განყოფილების გამგე ზინა ძელური, ექიმები: გულიკო პოპიაშვილი, ნინო წელაური, მედდები: ზაირა ტოკლიკიშვილი, მაყვალა ოზაშვილი, მერი ხომეზური,კატო ღვედაშვილი, ზაირა ტოკლიკიშვილი, ეთერ შიუკაშვილი, ნინო ლომიძე, ლამარა გოგილაშვილი, ნელი სეხნიაშვილი, ანია გოგოლაშვილი იუწყებიან თერაპიული განყოფილების მედდის
ელენე ბენაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა თანაგრძნობას უცხადებს მარინა მჭედლიშვილს მეუღლის
ზაზა ზურიკაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ნატროშვილს ბებიის
ბაბულია ჯალიაშვილი - ნატროშვილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ნატროშვილს ბებიის
ბაბულია ჯალიაშვილი - ნატროშვილის
გარდაცვალების გამო.

ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება
სოსო ბილანიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

7 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო

დედოფლისწყაროელმა კიკბოქსინგელებმა კიდევ ერთხელ გაახარეს გულშემატკივარი.

გუნდი „ჩემპიონი თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით 7 — პირველი, 2 — მეორე და ერთიც მესამე ადგილით, მედლებით და დიპლომებით დაბრუნდა ქ. თბილისიდან, სადაც ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი კიკბოქსინგში. შეჯიბრს აშუქებდა რამოდენიმე ტელევიზია მათ შორის იმედი, მაესტრო, TV 9 და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. ტურნირზე მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის გუნდები.

„ეს ტურნირი იყო საქართველოს ჩემპიონატის, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი ტურნირი, ამიტომაც „ძალების მოსასინჯად“ უამრავმა სპორტსმენმა მოიყარა თავი.

ჩვენი რაიონის კიკბოქსინგელებმა შესანიშნავი შედეგით დაასრულეს ტურნირი.

პირველ ადგილზე გავიდნენ და ჩემპიონები გახდნენ: ***ჯაგაშვილი მალხაზი, გომერშმიდი გიორგი, ჯეთერიშვილი ზურაბი, ბასილაშვილი გიორგი, ელყიაშვილი ლაშა, ზოიძე ჯემალი, ზოიძე იოსები.***

მეორე ადგილზე - ***ლეკაშვილი თორნიკე და ფიროსმანიშვილი ნიკა.***

მესამე ადგილი დაიკავა **ლაშა ლეკაშვილმა.**

მსაჯების ყურადღება მიიპყრო ჩვენი გუნდის პატარა მონაწილემ მალხაზ ჯაგაშვილმა. მან სამი ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით დასრულა და ჩემპიონობაც ღირსეულად მოიპოვა.

საუკეთესოდ გამოვიდნენ გომერშმიდი გიორგი და ჯეთერიშვილი ზურაბი. ეს დაუღალავი ბიჭები სავარჯიშო დარბაზში პირველები მოდიან და ბოლოს მიდიან, ყველა დავალებას პირნათლად ასრულებენ და ყველა შეჯიბრიდანაც მედლებით ბრუნდებიან.არც ახლა უღალატეს გუნდის ღირსებას და დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ ჩემპიონობაც დაიმსახურეს.

გიორგი ბასილაშვილი ტექნიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენია და მისი ორთაბრძოლები საინტერესოდ მიმდინარეობს, ამ შეჯიბრზე გიორგიმ თავისი ოსტატობით ყველას სძლია და პირველი ადგილის მედალიც დაიმსახურა.

ფინალური რევანში შედგა დედოფლისწყაროელ ჯემალ ზოიძესა და გორელ სპორტსმენ გიკაშვილს შორის. რამოდენიმე შეჯიბრის წინ გიკაშვილთან ჯემალმა მარცხი განიცადა და ამ ტურნირზე ფინალურ ორთაბრძოლაში კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ. ამჯერად აღარ დაუშვია შეცდომები ჩვენი გუნდის სპორტსმენს და ყველა რაუნდში დაჯაბნა მეტოქე და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა.

აღნიშნული ტურნირის საუკეთესო ფინალურ ორთაბრძოლად მსაჯებმა უფროსი ასაკის სპორტსმენების, დედოფლისწყაროელი იოსებ ზოიძეს და თბილისელ ნოდარ შონვაძეს შეხვედრა აღნიშნეს.

სოსომ გამოცდილ მეტოქეს, დინამიური შეტევითი სტილის ორთაბრძოლა მოახვია თავს და პირველი რაუნდის ბოლოს ფეხისძლიერი დარტყმით მოწინააღმდეგე „ნოკაუტში“ გაგზავნა. ასე მოიპოვა გუნდი „ჩემპიონის“ წევრმა და სასაზღვრო პოლიციის მე-4 სამმართველოს თანამშრომელმა იოსებ ზოიძემ.

შეჯიბრის დასასრულს სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით და სიგელებით.

ასევე დაჯილდოვდა გუნდი ჩემპიონის ხელმძღვანელი თამაზ ყარაგვეზაშვილი დიპლომით „გუნდის საუკეთესდო მომზადებისთვის.

კიკბოქსინგის გუნდი მადლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელ ქალბატონ ნინო ბახუტაშვილს მხარში დგომისთვის და დაფინანსებისთვის.

ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

ახალი კაფე დედოფლისწყაროში

16 მაისს დედოფლისწყაროს ცენტრში, ჰერეთის ქუჩაზე გაიხსნა უალკოჰოლო კაფე „კაპუჩინო“. ახალი კაფე აკურთხეს და დალოცეს დეკანოზმა ნიკოლოზმა(ლომსაძემ) და მამა ლევანმა. პრეზენტაციაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, დააგემოვნეს კერძები და ახლადგახსნილი მინი-რესტორნის სადღეგრძელოც დალიეს - კაფეს მომხმარებლის სიმრავლე უსურვეს. მისი მეპატრონეების განცხადებით, დედოფლისწყაროელებს კაფე უგემრიელესი, ბიოლოგიურად სუფთა კერძების ფართო არჩევანს სთავაზობს. პარალელურად მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა ახალი სერვისით ისარგებლოს- მათთვის სასურველი კერძი წინასწარ შეუკვეთოს. კაფეს ინტერიერი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და მოწყობილია ევროსტანდარტების შესაბამისად, დაცულია ჰიგიენური ნორმები. მსურველები აქ სტუმრობისას თავად დარწმუნდებიან ამაში.

ეწვიეთ „კაპუჩინოს“, აქ ყველაფერი ძალიან გემრიელია!

ვაცხადებთ კონკურსს!

ასოციაცია „წითელწყაროელი“ დედოფლისწყაროს რაიონის მწერალთა ასოციასთან და გაზეთ „სირაქთან“ ერთად, აცხადებს კონკურსს „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“.



მოგეხსენებათ, ეს რაიონის მოსახლეობას შორის საკმაოდ პოპულარული ღონისძებაა, რომელიც თითქმის ტრადიციად არის ქცეული. გვინდა, წელსაც ლამაზად გაგრძელდეს ეს ტრადიცია და მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სკოლებს, სკოლისგარეშე დაწესებულებებს, რაიონის მოსახლეობას, ნებისმიერ მსურველს ასაკის შეუზღუდავად.

კონკურსის შემდეგ შეიქმნება „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კლუბი.

მსურველები დაგვიკავშირდით:
599-2832-52; 592-61-70-38; 22-55-49

ასოციაცია „წითელწყაროელი“,
დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია,
გაზეთი „შირაქი“

ულოცავენ!

ცეცელო ჯანაშვილს!

ცეცელო, გილოცავთ დაბადების 60 და საბიბლიოთეკო მუშაობის 40 წლისთავს, გისურვებთ ჯამთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახის სიმრთელეს და ყოველივე კარგსა და ლამაზს მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა

ირაკლი შიოლაშვილს!

თამარ შაფათავას!

გილოცავთ ლამაზი, ქართული ოჯახის შექმნას. ახალშეუღლებულებს სიყვარულის დღეგრძელობას, ოჯახის მზიანობას და აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები

გილოცავთ ქორწინებას, გისურვებთ ლამაზი ქართული ოჯახის შექმნას. წრფელი სიყვარული იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

პატივისცემით,
გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები

იმკურნალეთ ლაზერით

ლაზერის სხივის უნიკალური მოქმედების შედეგად შეგიძლიათ ჩაიტაროთ: კუჭის, თორმეგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების და სახსრების, ართროტების, რადიკულიტის, ართრიტების, ნერვის ანთების ერთობლივი მკურნალობა მედიკამენტების გარეშე ძლიერი ტკივილების დროული მოხსნით. ტარდება აგრეთვე მედიკამენტოზური ალერგიის დროს ნებისმიერი ანთებითი პროცესის მკურნალობა და ტკივილის მოხსნა.

მკურნალობის ჩატარება შეგიძლიათ **მისამართზე:** ქ.დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ.№18; „სამედიცინო ცენტრი“, ლაზერის კაბინეტი, ასევე ბინაზე ექიმი მარინა ქორიძე.

599 181735; 568931566

ვ ყ ი დ ი

ვყიდი ორსართულიან სუფთა ბინას საკუთარი ეზოთი სოფელ ჯაფარიძეში სარაფიმე საროველის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ბინას აქვს ხეხილის ბაღი, სათავსოები, უზრუნველყოფილია გაზით, დენით, წყლით.

მსურველები დაგვიკავშირდით

ტელ: 571 208602;

ი ყ ი დ ე ბ ა

ორსართულიანი, კეთილმოწყობილი (ცენტრალურ კანალიზაციაში ჩართული) საცხოვრებელი სახლი ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, მის. 9 ძმის ქ.№6. ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით:

598 47 56 21

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

შაბათი 18.05		კვირა 19.05		ორშაბათი 20.05		სამშაბათი 21.05		ოთხშაბათი 22.05		ხუთშაბათი 23.05		პარასკევი 24.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21 °	13 °	20 °	16 °	15 °	12 °	15 °	13 °	17 °	14 °	19 °	16 °	18 °	15 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K